

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის დროს დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების წესის რეგულირება.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ სხვა ორგანოების გადაწყვეტილებებთან ერთად აღსრულებას ექვემდებარება რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ. ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს რაიმე ხარჯებს.

ბ. ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ. გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ცვლილებებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ბ. დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ. ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება: კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ. ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი): კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი.

### გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან: კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირის ღირებულებებთან.

გ. ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ. გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

### დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ. ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში: კანონპროექტის შემუსავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ექსპერტებს.

დ. ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულები) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტთან დაკავშირებით არ არის გამოთქმული შენიშვნები.

დ. გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ. დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პრეზიდენტი.